

დროშა

ბაგოლის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

„დროშის“ რედაქცია — სიმონოზის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მფრთხილებს ადრესი: ВЪ ТИФЛИСѢ, въ Редакцію „Дроша“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50 კ.; 10 თვით — 7 მ., 9 თვით — 7 მ., 50 კ.; 8 თვით — 7 მ., 7 თვით — 8 მ., 6 თვით — 5 მ., 5 თვით — 4 მ., 50 კ.; 4 თვით — 4 მ., 3 თვით — 3 მ., 2 თვით — 2 მ., 1 თვით — 1 მ.

ფასი განცხადებისა: სტრუქტურული ცვლილებების მიხედვით ქართულს, რუსულს და სხვა ენებზე.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ცოცხლად.

ცალკე ნომერი «დროშისა» ღირს 5 კაპიკი.

რადგან მე მსურს მომავალ სეზონისათვის ქართული სათესურთო დასის შედგენა, ამისათვის უმჯობესად ვსთხოვ იმ პირთ, რამელნიც ისტრუქტორები დასში ჩაწერას, მოახდინონ მოსაზრებებსა და არწრუნისეულ თესურთში, სადაც შეეძლიათ ჩემი ნახვა დილის თერთმეტი საათიდან თორმეტი საათამდე ყოველ დღე ივლისის 18-დამ ავვისტოს პირველამდე.

(3-2) ს. ნებეიჩიძე.

შინაური პროცესი.

სექტემბრიდან ჩვენი სათავადაზნაურო სკოლა ახლს შენობაში გადავა. აქამდის იგი იყო სოლოლაკში, იმისთანა ადგილას, სადაც გარემომოსული მდიდარი ხალხის ცხოვრობდა და სადაც გარეშე მფრთხილებს დელ-მამა სილაგობის გამო თავიანთ შეილებსათვის ბინას ვერ მოუფლობდა. მომეტემა იგრძნობეს კონკლუზიანება და ხალხს სადგურად სკოლის ამოღობა ჩინათვის სახლები, ძუკიაში, მლიზვეტის ქუჩაზედ, ფრანგების ეკლესიის პირდაპირა. ჩინათვის ამ საქმისათვის თავისი ძველი შენობა გადააკეთა და ორი იმოდენა კიდევ ახალი მიუმატა. ჩვენს გეგმონდა შემთხვევა დაგეთვალისწინებინა ეს შენობა და მართალი უნდა ესთქვათ იგი ჩინებულად არის სკოლისათვის მოწყობილი. მათხები დიდი და ნათელია, ესო ვრცელი, ზამთარში სათამაშოდ განიერი გრძელი კორიდორები, როგორც ზემა ვსაქაში, ისე ქვემოში. მათის სიტყვით,

შენობაც კარგია, გარემოც ბევრი იმისთანა სახლობა სცხოვრობს, რომელიც იაფად დაიყენებს სათავადაზნაურო სკოლაში მოსწავლე ბავშვებს; მაგრამ ძნელი ეს არის, რომ კომიტეტმა ყოველწლივ (ხუთის წლის განმავლობაში მაინც კონტრაქტის ძალით) უნდა აძლიოს სახლის პატრონს 4500 მანათი. ამისთანა სახლების იაფობაში კომიტეტს რომ პატარა მეტი მუყაითობა გამოეჩინა, შეეძლო, ან ეყიდნა სახლები, ან თითონ შესდგომოდა შენობას თუნდ ვალით და მასუკან ყოველწლივ ეხდა ქირის უფლით თავიცა და სარგებელიც; თორემ ეხლა ყოველწლიური ქირა 4500 მანათი დაკარგულად უნდა ჩითვალოს. თუ ვინ სასულიეროდ და სახარკიო ქალების სასწავლებლებმა თავ-თავიანთი შენობა შეიძინეს, ეს არ უნდა ვსტყვირებოდნა სათავადაზნაურო სკოლას, მით უფრო რომ, ვიდრე რომელიმე სკოლა თავის საკუთარს შენობას არ შეიძინეს, ძირი მკვიდრად არ ექნება გადგმული.

სოხუმიდამა გვწერენ: „ამ უკანასკნელ დროს ორი სამუშაორო ამბავი მოხდა სოხუმში. მართი შეგება იმ ახალ-გაზდა უცნობ კაცს, რომელიც, როგორც ამბობენ, პეტრობურგის სტუდენტი ყოფილა და ამას წინადა თავი მოუკლავს სოხუმში. მეორე უბედური შემთხვევა მოხდა შავს ზღვაში: იქ ბანაობდა ახალ-გაზდა გიმნაზიელი სემიონოვი, რომელიც მუთისიდან მოვიდა თავის ნათესავებთან. სემიონოვი ჩასულიყო საბანაოდ იქ, სადაც მდ. ჩალბაში, ანუ როგორც აფხაზები უწოდებენ ბესლა,

ზღვას ერთვის. როდესაც ჩალბაშიდამ ზღვაში შესვლას აპირობდა, უცებ ღრმა წყალში ჩავარდა, რამდენჯერმე ამოიტივტივა, მაგრამ, რადგან ცურვა არ იცოდა, წყალმა ისევ ჩასძირა. ნათესავებიც იქვე ბანაობდნ და მაინც ვერა გააწყეს-რა. პატარახანს უკან გვამი ნაპირზედ გამოიტანეს, ორი ექიმიც მოიხმეს, მაგრამ ცდამ ამაოდ ჩაიარა.

„პრიკაზის“ ვალის საქმე სრულიად გარდასწყდა და ამ დაწესებულებამ ოფიციალურად გამოაცხადა შემდეგი:

პრიკის 23 1880 წ. შეჩერდა სარგებლის გადახდევინება პრიკაში დაგირავებულ სოფლის მამულებზედ, რომელნიც ქართველ თავადაზნაურობას ეკუთვნიან. რაც კი ამ დღემდე თავნი და სარგებელი ნელომიკებით დარჩა ხსენებულ მამულებზე, უმაღლესის ბიძანებით შუა გაიყო, ნახევარი ებატია ხსენებულ თავადაზნაურობას და ნახევარის გადახდევინება უნდა მოხდეს 37 წლის განმავლობაში ამ წლის მარტის 16-დამ დაწყებული, ასე რომ მოვალეთ უნდა იხადონ ყოველ წლივ 6% (5% სარგებელი და 1% თავის გადასახდელო). ეს შეღავათი არ მიეცემატ პატრონებს იმ მამულებისას, რომელთაც ისინი პრიკაში დაგირავების შემდეგ უყიდნიათ. მათ მხოლოდ ის შეღავათი მიეცემათ, რომ შეუძლიან შეაჩერონ გაყდვა თავიანთ მამულისა ერთის წლით, თუ წრევანდელ ნომბრის ათამდე შეიტანენ ან მეათედს სრულის ვალისას, ან ნახევარს შესავსები გადასახადისას (ნელომიკისას).

სწორედ ესეთივე შეღავათი მიეცემათ ქალაქის მამულების პატრონებს, რომელთ მამული გადასახადის შეუტანელობისათვის გასაკიდად არის დაწინწული.

ჩვენ შემოგვიჩივან ზოგიერთა ქალაქის მცხოვრებლები, რომ წრეულ ყველგან იმისთანა მოსავალს აქებენ, როგორც კარგა ხანია არა ყოფილა და მაინც კიდევ ისეთი ძვირობაა ქალაქში, რომ საწყალს ხალხს სული ვერ მოუბრუნებია, თუმცა დიდ-ძალი კი შემოდის ქალაქის ბაზრებში ყოველ გვარი სანოვანგო. ავილოთ, მაგ., თუნდა ხორცი: იმოდენი საქონელი შემოდის რიყეზე და ისე იაფადაც იყიდება, რომ კაცი განცვიფრებაში მოდის, რადგან მარშან ამ დროსაც 8 კაპ. იყო გირვანქა ხორცი და ეს-ლაც, როდესაც მარშან ბალახიც ნაკლებად იყო სიცხეებისგამო, უფრო ნაკლებადაც მოუდიოდათ საქონელი და უფრო ძვირადაც იყიდებოდა. წრეულ კი ყველაფერი ხელს უწყობს ხორცის გაიფხვას: ბალახი მშვენიერია, საქონლის კირი არსად არის, დიდ-ძალი საქონელი მოდის გასასყიდად და სხვ. ამისათვის ჩვენ გვეგონა, რომ სამართლიანობა მოითხოვს, შემდეგს თვეში მაინც დაუკლოს ქალაქის გამგეობამ ხორცს ფასი და ამით ცოტა შეღავათი მისცეს საწყალ ხალხსაო.

როდესაც ფილოქსერის მიხედვლი ქალაქის ბაღებში დადიოდნ, ბევრგან იპოვნეს თურმე მეორე მწერი — მტერი ვაშლის ხეებისა — სისხლის ქია, რომლის აღწერა და და-

„დროშის“ ქვეტონი ივლისის 19.

რეპუბლიკის დაარსების დღესასწაული.

(წერილი პარიკიდან).

ჩინეთიდან შემოტანილმა ხოლოვამ ვერ მოაზღვეინა პარიკს ივლისის 14-ის დღესასწაული, თუმცა მონარხიელები და სხვანი გულ-მოდინებით ცდილობდნ ვითომც ხოლოვრის გამა ამ საერო დღესასწაულის გადაღებას. საექიმო აკადემიაც უჩივდა, მაგრამ მუნიციპალიტეტის თავ-გამოდებულმა სიტყვებმა მეცნიერთა და პოლიტიკურ განმზრახველთა ყოველგვარი ჩივება „ძაკას ხილი“ უჩივდა. მართი ამ გამგეობის წევრთაგანი ამბობდა, წელს რომ ივლისის 14 არ ვიუქმოთ, ამის მეტი არაფერი უნდათ მოინახიელებსაო, რადგანაც ისინი ყოველთვის ცდილობენ ხალხში რა-


გორზე შესუსტონ რესპუბლიკის დაარსების სახსოვარიო. დღესასწაულის გადაღებით ხომ ერთები შეგსხმის მათს სურვილსაო. ძველავ ხოლოვრა არ ყოფილა, მაგრამ სიკვდილი არა ნაკლებად ხშირი ყოფილაო, მუნიციპალიტეტის უმეტესობამ ფენი მოსტეხა ყოველ-გვარ ბოროტ-განზრახულებას, და ჩინებულად იდღესასწაულა ივლისის 14-ის რესპუბლიკის დამყარების დღე.

შეხო ხალხის შეილისათვის სრულიად გაუგებარია ის სიხარული, რომლითაც ხარობს ჭრანცუზი ამ დღესასწაულ-დღეს. ამისთანა დღის მნიშვნელობას იგრძნობს მარტო მოდღესასწაულე ხალხი და იმისთანა, ვისაც გარდახდომია თავს ასეთი ცხოვრების მაგალითები, თორემ ჩვენთაგანი, მარტო უნდა შეწყურებდეს მოდღესასწაულეთ.

ივლისის 14-ის საზოგადოდ მუშებისა და მღაბიო ხალხის უქმია. ამათ

ყველამ მოასწრეს თავიანთ უბნების სამეფრა დროშებით მორთვა. მიწრო ქუჩებისა და შუკების შეიდ-შვიდ სართულიანი სახლების სარკმლებზე დაკიდებული დროშები თითქმის ფარეიდენ ჰაერს და აკავებდენ მის მოძრაობა. მდიდრების უბანში, სადაც არისტოკრატია და მოუკულმართები სცხოვრობდნ, დღესასწაული ისე არ გამოსჭვირდა. მხოლოდ ზოგიერთი სახლების მეშვიდე თუ მერვე სართულის სარკმლებში გამორკობილი დროშები გამელელს აშკარად უმტკიცებდენ, რომ იქ რესპუბლიკელები სცხოვრობდენ. ცხარი რესპუბლიკელები არა თუ მარტო სახლებს იპობდენ დროშებით, თავიანთ ცხენებს და ძაღლებსაც კი უკეთებდნ თავზე დროშაკებს, ზედ-წარწერით: „გაუმარჯოს, საფიანგეთს! მაუმარჯოს რესპუბლიკას! სასახლე დროშებს გარდა, იციან კიდევ წარწერილი პატარა დროშები, ხელში დასაჭერი. ღიღსა და პატარას

უჭირავთ ხელში ეს დროშები, შეწყურებენ მუსიკის ახლო მაცვევარ საზოგადოებას, სადაც მოსეირნე, მოცეკვრები, დიდი თუ პატარა, ყველანი ერთად ირევიან. აგერ ღრმად მოხუცებულს ქალს, რომელსაც თავის წუთის ცხოვრება მორკმით განუფიქრა და, შესაძლოც არის, ბევრს რასმესაც მოსწრებია, დღეს პატარა დროშა დაუჭერია ხელში და საამო ღიმილით შეესტკერის ახალ-გაზდების ცეკვა-ხუმრობას. დროშინი ბაღლებიც კი ცეკვამენ და ირევიან მაცვევართა შორის; მახლობელ ყავახანასთან გამოფენილი საზოგადოებაც სიამოვნებითა და სიხარულით სტკებდა ერთად; აგერ შუა ქუჩებში და შუკებში ტაბლებს უსხედან და ღიხნობენ. მკლესიებიც კი, რომელთაც მონარხიული პრინციპი დოგმატად გაუხდიათ, დღეს ესენიც დროშებით შემკულნი არიან და ჩირადნებით კამკაშობდენ, თითქოს ქედი მოუხრიათო. მაინც ასეა: დღეს ისინი



რიგება მისის გაწყობისა ჩვენს გაზე-
თში იყო დაბეჭდილი. შევლავნებ და-
ლიან ეს ჭია თურმე ხომანდურ
ვაშლის ემტერება და აქედამ სხვა ვა-
შლის ხეებზედ გადადის. შურო-
თვალ-საჩინოდ ეს ჭია გაჩენილა
ძაუხის ბაღში, ღიღუბის ეკლესიის
ახლო, სადაც ყველას შეუძლიან თურ-
მე დარწმუნდეს, თუ რა მანებლად
მოქმედობს ეს ჭია ვაშლის ხეებზედ.
სამწუხაროდ ბაღების პატრონები არა
ვითარს ღიღუბისა არა ხმარობენ ამ
ჭიის გასაწყობად. თუკი მბილისში ასე-
თი გულ-გრილობაა და არავენ ყურად-
ღებას არ აქცევენ ამ ფრად მანე-
ბელს მწერს, — რაღას უნდა მოველო-
დეთ სოფლის დაუდევარ მამულის პა-
ტრონთაგან!

== „ძაგვას“ ატყობინებენ შუთაი-
სი ამ, რომ იქაური სამეურნეო საზო-
გადოების განყოფილების საქმე პირ-
ველში მაინც კარგად წასულა. წვერ-
თა რიცხვი ენავე 135-ია თურმე,
ასე რომ საწვერო ფული 1350 მანა-
თი (!) შემოვა, მაშინ როდესაც თვით
მთავარი საზოგადოება 300 მანათვე
მეტს ვერა ჰკრეფს. ამას გარდა შუ-
თაისის საადგილმამულო ბანკმა მის-
ცა ამ განყოფილებას 1000 მანათი
და გუბერნატორმა სახელმწიფო სად-
გურში ზალა დაუთმო, ასე რომ
ჯერ-ჯერობით მაინც მატერიალური
მხრით განყოფილება უზრუნველ-
ყოფილია და თვით საზოგადოებაც
დიდ თანაგრძობას უჩენს. როგორც
შევიტყუეთ ამ საზოგადოების სერე-
ტრად ამოურჩევით პარიჟში ნასწავ-
ლი ყმაწვილი კაცი ბ. ძონსტ. ბაქ-
რაძე.

== „ბაქოს უწყებებს“ ატყობინებენ
პეტერბურგიდან, რომ იქ იენისის
28-ს ჰქონია პირველი სხდომა კომი-
სიას ნავთის საქმეზედ. მათა და ჭი-
ნანსთა სამინისტროს წარმომადგენელ-
ნი ამტკიცებდნ თურმე, რომ საქა-

როა ნავთის გადასახილად მოემატოს
ვაგონების რიცხვს ამიერ-ძაგვასიის
რკინის გზაზედ და სურამის ქედზე-
დაც გადავიღდეს ზიდა. სახელმწიფო
ქონებათა სამინისტროს წარმომადგე-
ნელი კი უფრო საუკეთესოდ სცნო-
ბენ ბაქოდამ ბათუმამდე ნავთის მი-
ღები გაყვანილ — იყენენ. ძომისიას
ჯერ-ჯერობით პირველი აზრი დაუმ-
ჯობინებია. ამას გარდა, მოლაპარაკება
ჰქონიათ იმის თაობაზე, რომ სამთო
გამგებობის ნება-დაურთველად არავე-
სა ჰქონდეს უფლება ახლად დაუწყოს
თხრა ნავთის წყაროებს.

== თან-და-თანა მტკიცდება, რომ
ხოლერა ერიდება იმისთანა ადგი-
ლებს, სადაც ნავთისა და კუპრის სუ-
ნი ტრიალებს. მაზ. „პრველქის“
სიტყვით, 1854 წელს ერთს გემზედ
ორი მოკვდა ხოლერით, კაპიტანმა
უბძანა მატროსებს ყველგან კუპრის
ბოჩები დაეწყათ და შიგ გახურე-
ბული ტყვიები ჩაეყარათ. თურმე
მთელი დღე საშინელი კუპრის სუნი
ტრიალებდა გემზე, მაგრამ ხოლე-
რით ავად კი აღარავინ გამხდარა.

== დიდი ხანი არ არის, რაც გა-
მოცდილებამ აღმოაჩინა, რომ მღელ-
ვარე ზღვაში ჩასხმული ზეთი, ან ნავ-
თი ამშვიდებს ღელვას და გემებს მყუდ-
რო თავმესაფარ ადგილს უჩენს. ამ
აზრით მთავრობას გადაუწყვეტია, სხვა-
თა-შორის ღერბენდში, შოთში და
ბათუმში გამართონ მიღები გაჭირვე-
ბის დროს ზღვაში ნავთის ნაშთების
ჩასახმელად. მთავრობას ალბად ძაგ-
ვასიაში იმიტომ უფრო უმჯობინებია
ესეთი გამოცდა, რომ ჩვენში ნავთის
ნაშთები ძლიერ იაფადა ფასობენ.

და დაუ-დავის ცემა შეაჩერა ხალხის
უცარმა გრილობა: Vive la Répub-
lique (გაუმარჯოს რესპუბლიკას!) და
ყოველ-მხრივი ბრავოს დაეტყუებამ.
ბასაკვირველიც არ არის, ბევრს ზუ-
მას ჰქმნა რიტის აღტაცებით გული
უცემდა, გრძობდა რა რომ პარიჟის
მომავალი ბედ-იღბალი მათს განათღე-
ბულ და მხედრულად გაწერთილ შეი-
ლებზედ იქნება დამოკიდებული. მს
ყრმათა ჯარი ისე მარდად და მწყობრ-
შეუშლელად მიდიოდა, რომ ოქტ-
რებს აღარ სჭირდებოდათ მათი ზე-
დაშხედველობა, მხოლოდ ხმლებით
პატევს უხდიდნ გენერალს, რომე-
ლიც ქუდს უხდიდა. უკანასკნელი როტა
არ იყო ჯერ გამოჩენილი, როცა დაგ-
დალწეული ბრბო გამოიჭრა და ზო-
ჰყვა ხმა-მალა ყვირილს: vive la Ré-
publique! (რესპუბლიკას გაუმარჯოს!)
და თანაც უმატებდა: vive l'amnistie!
(საზოგადო პატიებას გაუმარჯოს).
აქვე ჯერ-არს შეგნიშნათ, რომ და-
მანაშვეთა შორის ანარხისტების ჭ-
თავისუფლებისათვის ჭერის და მს

უცხოეთი.

საზრანგეთი. მარსელიდან მოსუ-
ლი ტელეგრაფიდან ვიცით, რომ
ამას წინად ეს ქალაქი დათვალე-
რეს შინაურ საქმეთა, საზოგადო
სამუშაოთა და ვაქრობის მინისტრთა.

ამის შესახებ ეხლა ვკითხულობთ
გაზეთებში, რომ, როდესაც მინი-
სტრები მისულან მარსელში, მათ მი-
გებებიან მოგზალზე ქალაქის პრეფექ-
ტი, მერი, მთლად მუნიციპალური
ჩიგვა, სენატორები და დეპუტატები,
რომელნიც ამ დროს იქა ყოფილან.
პრეფექტს, როდესაც წარუდგენია მი-
ნისტრებისათვის მუნიციპალური ჩიგ-
ვის წვერნი, სხვათა შორის, შემდე-
გი უთქვამს მათთვის: „ნება მიბოძეთ
მადლობა მოგახსენოთ იმისათვის,
რომ ინებეთ თქვენის თვლით ნახვა
იმ მდგომარეობისა, რა მდგომა-
რეობაშიც ეს ქალაქია. სწორედ
ისეთია, როგორც მე დავინახეთ:
46,000 გაცი უკვე გავიდა აქე-
დამ, 20,000 კაცი ახლო-მახლო
ადგილებში გახიზნა და ალმის
ებრდემის ახალნი ბუდენი გააჩინონ.
მაგრამ ეხლა ჩვენ გვემუქება უფრო
უარესი ღვთის-რისხვა, ვიდრე ხოლე-
რა: ეს ვახლავთ გაჭირება. მხლა ხდე-
ბა ის, რაიცა არც ერთხელ არა ყო-
ფილა წინა ხოლერიანობის დროს:
ვაქრობა შეჩერდა, ჭაბრიკები დაიკეტა
და აურიცხველი მუშა-ხალხი დარჩა.
ქუჩაზე უბინად და ულუკმაშუ-
როდ.“

მინისტრებს უპასუხნიათ ამაზედ,
რომ საფრანგეთი, როგორც ყოველ-
თვის, ეხლაც მოემეველება თავის
ტანჯულ შვილებს და სხ.

— ტულონიდან იწყებიათ გაე-
თებში, რომ იქაურს მცხოვრებლებზე
ძლიერ მძიმე შთაბეჭდილება მოახდი-
ნა იმ გარემოებამ, რომ ქალაქის თა-
ვი, რომელიც გულადად ებრძოდა

მომხრე უმეტესობას ყურაც არ გაუ-
ბერტყია. რადიკალურმა გაზეთებმა რა
წერილები არ სწერეს ლუიზა მიშე-
ლისა და ძრაპოტკინის სასარგებლოდ,
მაგრამ არაფერი არ იქმნა; ბოლოს
მანრი რომფორის თავმჯდომარეობით
მიტინგიც მოხდა, მაგრამ ლუიზა მი-
შელსა და ძრაპოტკინს ივლისის 14
საპრობილემში გაათენებინეს. ძველი
ებრაველი პასეის დღესასწაულებში
ადამიანის მკვლელებსაც კი ათავის-
უფლებდნ და, როგორც ამბობენ
ზოგიერთი გაზეთები, „შეუბრალებელ-
მა ჭერიმ“ (impitoyable Férry) ლუ-
იზა მიშელი და ძრაპოტკინი არ ჩა-
წერინა განსათავისუფლებელ პოლი-
ტიკურ დამანაშვეთა სიაში. ამნისტიის
სასარგებლოდ ბევრი მანიჭესტაცია
მოახდენეს პარიჟის სხვა-და-სხვა ადგი-
ლებში. მძანება იყო წითელი დრო-
შები გაეკეთებინათ მხოლოდ სარკმ-
ლებზე და დაეჭირათ ის მოქალაქე-
ნი, რომელნიც წითელ დროშას
ხალხში სატარებლად გამოიტანდნ.
პოლიციამ დილიდამე დაიჭირა სენ-

ეპიდემიას, თვითონ კი ხელს ვერც ხო-
ლერიითა.

— ამ დღებში მინისტრებს ჰქო-
ნიათ რჩევა ჩინეთის საქმეთა შესახებ.
თავმჯდომარე ბრევი ყოფილა.
წაუკითხვეთ გენერალი მილიოს მო-
ხსენება, რომლიდგანაც სჩანს, რომ
წანგოსთან ჭრანცუზის ჯარებს ნამ-
დვილად ჩინეთის ჯარები დასცე-
მიან. საფრანგეთის მმართველობას ეს
გარემოება ტიანძინის ხელ-შეკ-
რულობის დარღვევად მიჩნია და
ამისათვის თხოულობს ჩინეთისაგან
250,000,000 ჭრ. კონტრიბუციას. მს
მოთხოვნა მამინათვე აცნობეს
პატენატრს საფრანგეთის ელჩს, რა-
მელიც შანხაიში იმყოფება და რომე-
ლიც დაუყარებლივ პეკინში უნდა
წავიდეს ამ საქმის გამო.

ც — ველის პასუხად
(წერილი რედაქციისადმი).
„ახლა ვაცხა ავი სიტყვა,
ურჩევნია სუფსა გულსა“.
რუსთველი.

თუ მოინდომა კაცმა, რიყზე ისე
გავილის, ერთ კენჭსაც არ დაინახეს.
როდესაც კაცი ხელმძღვანელობს რა-
მელიმე წინად განზრახული აზრით და
მსურს როგორმე ეს აზრი აღნიშნოს
და მხოლოდ მასზე მიაქცევიოს მკი-
თხველ საზოგადოებას ყურადღება, მა-
შინ ამ გვარი პირი თვალებს ხუჭავს,
საზოგადოებას განგებ თვალებს უხვევს
ნამდვილ და ჰქმნარიტ საქმეზე, და
სრულიად სხვა თვლით ახედებს
ჰქმნარიტებაზე. მს ძალიან ადვი-
ლია თუ კაცი ზრდილობის
სამზღვარს გადააბიჯებს. იმ სა-
ზოგადოებას, იმ კაცს კერძოდ, რომ-
მელსაც რომელიმე საქმის გარემოება
არ ესმის, არ არის მასში ჩახედებუ-
ლი, შეიძლება, საქმე შავადაც აჩვე-

მარტენის წინაქარში ერთი მოქალაქე,
რომელსაც დაჰქონდა წითელი დრო-
შა წარწერითურთ: Amnistie (საზო-
გადო პატიება). მს იწყინეს ტან-
ლის ქუჩის სოცილისტ-რევოლიუ-
ციონერებმა და წინააღმდეგ პო-
ლიციელთა, რომელთაც დაამტე-
რიეს წითელი დროშა და და-
ტუსალეს მისი მატარებელი მოქალაქე.
ამის დატუსალებამ ვერ შეაჩერა სო-
ცილისტების წრები. გამოვიდნ
Amnistie-ს წარწერილი დროშები-
თურთ იმდენი რიცხვით, რომ პო-
ლიცია ვერარას გახდა და ბოლოს,
თავიც მიანება. დილიდენ აგრეთვე
მომღვრალი ქალები და კაცები, რომ-
მელთაც ჭრიგური ქუდები ეხურათ
და დაატარებდნ წითელ ბაირალს,
წარწერითურთ: Honneur à nos
pères de 1789 unité, Amour,
Humanite (პატივი და დიდება ჩვენს
1789 წ. მამა-პაპებს. ერთობა, სიყვარუ-
ლი, კაცობრიობა)!
ნაშუადღევის ორი საათი იქნებო-
და, როცა თავი მოიყარეს სხვა-და-სხვა



ნონ და თეთრად. სწორედ ამ გეგმად მოიქცა ავტორი წერილისა, „ზორის დეპოს საზოგადოება და მისი ორი კრება“, ბ. ც—ველი. ხონობივით წაჰკო კისერი და მარტო ის დაინახა, რაც მის ცხვირ წინ მდებარებდა. აქო ერთი მხარე, ამაგა მეორე; დანაშაულობის ჩხირი მიატეხა მარტო ერთს კაცს, ესე იგი მე. საქმის წინაწარმენას სჯობია მკითხველს დალაგებით მოვხსენოთ სრულიად საქმის გარემოება.

საზოგადო ყრილობამ, როგორც ბ. ც—ველიც მოგვითხრობს, ამოირჩია თვისთა წევრთა შორის ხუთი კაცი კომისიის წევრებად (და არა სამი, ბ. ც—ველი! როგორ მოგივიდათ, რომ დანარჩენებსაც ქება არ შეასწოთ და გუნდრუკი არ უკმით; ესლა კი ნეკზე იკებნთ, მაგრამ გვიანლა იქნება), რომელთაც მიანდო დეპოს საქმეების გამოკვლევა, ვაჭრობის დაცემის მიზნების განხილვა. პრებამ მოისმინა, მართალია, კომისიის მრავალთაბანოვანი მოხსენება, მაგრამ ვიდრე ქებას შეასხამდით მოხსენების შინაარსს, თქვენ უნდა მოგესმინათ პასუხი, ჩემგან მოხსენებაზე დამხადებული, და რომელი მათგანიც უფრო მოსაწონი იქნებოდა, რომელი ჩვენგანიც გამტყუნდებოდა, მაშინ და მხოლოდ მაშინ უნდა გელაპარაკნათ მოხსენების ღირსებაზე. თუ არა და დალოცვილო, ჯერ ჩემი პასუხი არ მოგიხსენია, არ იცი, მე რა ქაქტები მიქვს მოხსენების წინააღმდეგ და მოჰყოლიხართ გოდებას იერემია წინასწარმეტყველსავე. თამამად გეტყვი თქვენც და თქვენისთანა წინასწარმეტყველებსაც რომ ზორის საზოგადო დეპო დასცა მალლა თაროში შესხდარმა პირებმა, რომელნიც უკანასკნელ კრებაზედ კავკასიის მართანის ცემით იქნებთან ხალხის წინ გამორეკილნი და აბა თუ სინდისიანი მსჯელობა შეგიძლიანთ ბ. ც—ველი

სოციალისტებმა რესპუბლიკის ძველთან, წითელი ბაირადები და დროშებზე გაშალეს და დაწყეს მანიჩესტერის ამნისტიის სასარგებლოდ; მათ შორის იყვნენ თავისუფლად-მოაზრე რევოლიუციონერებიც. მთელი ეს შეკრებილება იქნებოდა თუთხმეტი ათასი ოდენი. ძველის ფუძეზე შედგენ და ენტუზიასტებმა სიტყვები წარმოსთქვენს ლალადის ყოფით: **Vive l'amnistie! Vive la Commune!**

ამ შინაგან მანიჩესტერისათან იყო, ესრედ ესთქვათ, გარეგანი მანიჩესტერისათ, რომელსაც შურისძიების ხასიათი ნათლად ეტყობოდა და ერთმა გარემოებამ ხომ ცეცხლს ნავთი დაასხა. იმ დროს, როცა ალხას-ლორენის საზოგადოება თანხმობის მიედანხე სტრასბურგის ძველთან იწყობდა მანიჩესტერის, ერთი ვილაც საეკო პირი მიუახლოვდა ძველს და ტლანქის კილოთი, რომელიც საკმაოდ ამტკიცებდა მისს შთამომავლობას, ამოაქუშა **A bas la France!** (ძირს საფრანგეთი!) დააფურთხა ერთ დრო-

მაშინა სთქვით სიმართლე. აი თუ მაშინ დამნაშავე აღმოჩნდებ და ამას არა მარტო თქვენ, არამედ ის პირნიც იტყვიან, რომელთაც საკუთარი ინტერესები არ ექნებათ, მაშინ იქნებით, საქები მაშინ კი ღირსი იქნებით ავიყუდოთ და გილოცოთ.

თქვენ ბძანებთ, ცხარე მათრახების მსგავს წინწყლებს დაუნდობრად აყრიდენ თავსა და პირში დეპოს საცოდავ დახლიდარსა და მმართველობის ბედნიერ წევრთაო. მს თავიდან ბოლომდე აშენებულთა სიტყუევზე, სიტყუევზე და მხოლოდ სიტყუევზე. თქვენ ამას იმიტომ ამბობთ, რომ თქვენს ჭანტახიას გაუტაცინხართ, ლამაზი და ცხარე სიტყუების სურვილს გადაუყოლებინხართ.

„საწყალი დახლიდარი“, რომელსაც ვითომ-და შეამიანი წინწყლები ხედებოდა, ვახლავთ ბ. ც—ვი. რა შუაშია მართლა და ის საწყალი დახლიდარი დეპოს საქმეების დახლოთვაში? აქ თქვენ, ბ. ც—ველი, მწარედ სტყუედებით, „ღმერთმა ნუ გამოგაცდევინოთ ის, რაც მოუვიდა დახლიდარსაო, —ბძანებთ კვლად თქვენ. დახლიდარს არა დამართვიარა, სრულებით უნებლად დაბრუნდა სახლში, მხოლოდ მოხსენების კითხვის ჟამს მას სთვლემდა. მაგრამ თქვენ დახლიდარის მუცლის-ტყვილი რა გაქეთ. თქვენ გაწუხებთ დეპოს სამმართველო და სამმართველოს წევრნი, რომელთა შორის ვიყავით კრებაზე მე და ბ. ს—ვი.

ზოგი წევრთაგანი სრულიად არ მობრძანდა კრებაზედ, ხოლო ვინც მოვიდა, ზურგი შეაქციესო. მის შეაქციეს ზურგი, ვინ და რად, რა დანაშაულობისათვის? ს—ვი მე ზურგს რად შემომამქცევდა. მანა ვის რა თვალი მოვთხარე, რა დანაშაულობა ჩავიდინე, რომ ერთმა ზურგი შემაქციოს, მეორემ მიკიჟინოს, მიკიჟინოს მაშინ, როცა ერთს თუმანს საწევრო

შათაგანს და გაიქცა; მაშინათვე გაედევნენ უკან შეურაცხყოფილები და მიყვიროდენ: **à l'eau, le Prussien! à la Seine, l'agent** (დააღრევით, პრუსიელია! სენაში, პოლიციელი); პრუსიელმა თავს უშველა ზღვის სამინისტროსკენ და იქიდან რა იქმნა, არ იცია. რამდენიმე ათასის ხმის თავზარ-დამცემმა გრილმა მოიცვა იქაურობა: **Vive la France!** (გაუმარჯოს საფრანგეთს!) **à bas la Prusse!** (ძირს პრუსია). შეურაცხყოფელის ასავალ-დასავალი რო ვერ გაიგო ხალხმა, მიანება თავი და გვემართა რიგოლის ქუჩაზედ კონტინენტალურ სასტუმროსკენ; აქ კარებზე დაკიდებულ დროშების შორის ორი პრუსიული დროშაც ფრიალებდა. ხალხის გროვა მყისვე მივარდა სასტუმროს, მისი წინა ნაწილი მიღწე-მოღწეა, დაძრო ბერმანიული დროშები და იმედინად დაბრუნდა თანხმობის მიედნისკენ. ის დროშები დაწყვეს სტრასბურგის ძველის ფუძეზე, ერთი უკვე მათგანი დაწვით და მეორესაც

ფულში ათის თუმნის საქონელი აქვს გატაცებული.

შემდეგ ავტორი მილაქუტებს ვითომ და ბრძანებს: ამბობენო, რომ ის დამნაშავე არ არისო (ვითომ მე), დანაშაულობაში სხვასაც ფეხი უდგიაო. მშ, ბ. ც—ველი, რას არ ამბობენ, მაგრამ ყველას რომ ყური დაეუვდოთ, სად წავა. ჯანაბას იმათი თავი, რას არ ამბობენ და განა ყველას უნდა დაეუჯეროთ? თუ კაცს უტყუარი ქაქტები არ ექნება ხელში, როგორც თქვენც ბძანებთ, როგორ უნდა დასდოს ბრალი ვისმე. თუ მოწინააღმდეგეთ სამმართველოს უკანონო მოქმედების ფაქტები არა გაქეთ ხელში, მაშ რალად ლაპარაკობთ? მე ხომ ცარიელი რომევა. თქვენ რომ საზოგადო საქმე გქონდეთ სახეში, რად დასდუმდებოდით, იმისთანა ფაქტებზე, როგორც, მაგალითებრ, თ. ნ. ღ—ძეს მიერ უსასყიდლოდ საზოგადოების დეპოსთვის მალაზიის დათმობა იყო ოთახით, დერეფნით და ეზოთი. ამ მალაზიაში ღ—ძე აიღებს წელიწადში სულ უკანასკნელი ათის თუმანს. თქვენ რომ ღ—თან პიროვნება გქონდეთ, საქმისა რა ბრალია.

თქვენ ალაპარაკებთ კომისიის წევრებს იმ აზრებს, რაც მათ სიზმარშია არ მოლანდებიათ. ძრებაზე ლაპარაკობდენ და ლაპარაკობდენ საქმეზე ლ. ბ—შილი, ნ. ღ—ძე და შ. შ—ვილი. ღ—ძეს სრულიად არ უთქვამს, რაც მოყვანილია წერილში, და მ. კ—ძეს ხომ ისეთი სიტყვები ათქმევინა ავტორმა, რომ მამბეტას შეხარბდებოდა.

ძველა კომისიის წევრები ავტორმა ალაპარაკა ბულბულის ვით, ყველას ამა, რადგან ყველასთან პირადი ანგარიშები აქვს და ამის გამო წინადაგანზრახულის აზრით აქო იგინი.

უკანასკნელად ამას ვიტყვი, რომ ავი და კარგი, მტყუანი და მართალი

სწავედენ; ამ დროს, სად იყო და სად არა, გაჩნდა პოლიცია, სტაცეს ხელი ამ მეორე ნახევარზე მეტად დამწვარ დროშას, და წაიღეს პოლიციაში... სტრასბურგის ძველზე დადებულ გვირგვინებისა და დროშების შორის შესანიშნავი იყო ერთი ნიშანი ქალაღის ფარზე, რომელსაც სხივებდა პატარა დროშაები ჰქონდა შემორიგებული; ზემოდ ამ ნაირი წარწერა იყო: **Qui vive? la France!** (ვის გაუმარჯოს და საფრანგეთსაო!).

მაგრამ ყველაზე უფრო საგულისხმო იყო ერთი მანიჩესტერის მობერტის მოედანზე, სადაც ერთობით მუშები სცხოვრებენ და აუარებელი დროშებიც ამტკიცებდენ იქაურების საზოგადო მიმართულებას, აღმართათ გვარაინი ოთხ-კუთხედი და ზედ კოცონი დაეწყით; კოცონში ჩაერთ დიდი ბოძი და ზედ ხელ-ფეხებ გაკრული ნაკეთიანი ჰაბუკი კაცი ეკიდა. ამ ძველის წარწერა ამბობდა: „სახსოვრად თავისუფალი აზრის მოწამის მტთან ღოღეს მწიგნობარი მეს-

საზოგადოების დეპოს წევრების 16 გამოჩნდება, როდესაც ჩემს წესებს სუხს წაიკითხვენ კომისიის მოხსენების შესახებ და თუ კრება დამნაშავედ იცნობს რომელსამე დეპოს წევრს ან მე, მაშინ სრული უფლება აქვს ყველას არა თუ ბექდვით გამოაცხადონ ჩვენი მოქმედება, არამედ ქეთაც ჩავგქოლონ.

დეპოს წევრი ალალო თუთავეი.

ცელეკრამები

(„ხრდილოეთის სააგენტოსი“ ივლისის 17)

აშტრახანი. სააზნაურთა აპეკაში მოსამსახურე გორევა მოიპარა ხაზინიდან აპეკის უეთი, რომელშიაც 20 ათასი მანეთი ფული იყო. გორევი დაიჭირეს და მარტო 10 ათასი მანეთი-და უპოვნეს.

მოსკოვი. ივლისის 20 აქაურს ოლქის სამჯავროში დაიწვება ბარემინისა და სამი სხვა თანამოზიარის საქმის გარჩევა; ამათ ბრალდებათ მოსკოვის ბანკის დიდი ძალი ყაღბი გეპონების გაგებება და გაყიდვა.

კიმი. კობელისანისი მანრამი დიდ-ძალი ჰესენური ბუზი განხდა.

იპანკუაშკა. ივლისის 19-ს.

კატირბურში. გამამტყუნებელი ოქმი სარა ბეკერის მკვლელობის თაობაზედ სამოსამართლო პალატაში წარსდგა. მკვლელობას აბრალდებენ სამსახურიდამ დათხოვნილს პოლკოვნიკ მირონოვიჩს წინადაგანუზრახველად და აზნაურის ცოლს სემენოვისას და

ტამბისა, რომელიც იქმნა ჩამოხრჩობილ და დამწვარ მობერტის მოედანზე აგვისტოს 3-ს 1546 წელს. აქვე ერთ მუშას დაჰქონდა პატარა ბროშიურები და ჰყიდა. სიტყვითაც ავრცელებდა აგრეთვე, თუ ვინ იყო მტთან ღოღე, ან რატომ იქმნა წამებული. მოხუცებულები და ახალ-გაზდები—ყველანი გარს ეხვიენენ ბროშიურების გამყიდველს და მოწიწებით ყურს უვდებდენ მისს ლაპარაკს.

მოკლედ რომ ვსთქვათ, ივლისის 14-ს დღესასწაულობის დროს სამეგარმა გრძობამ იჩინა თავი; პირველი იყო ოპორტუნისტების, მეორე ბერმანიელების და მესამე კლერიკალების წინააღმდეგი.

მ. მილანიშვილი. პარიჟი. 1884 წ. ივლისის 15-ს.

1884 წ. ივლისის 15-ს.



პორეჩის ბეზას მკვლელობის დაფარვას.
სტარბანი. ივლისის 16 დაიწვა ზღვაზედ რკინის მხენა „სპასატელ“ კერძონით, რომელიც მიზანდრონცევს ეკუთვნოდა; კომანდა გადაწვია.

პარიში. კონსტიტუციის გადახედვის პროექტი მიიღო სენატმა 165 ხმის უმეტესობით 111 ხმის წინააღმდეგ. გარდა იმ მუხლები-სა, რომელნიც შეეხებოდა სენატის უფლების შესაზღვრას ჭინანსიურ საქმეებში. პარლამენტის წრეებში ჰფიქრობენ, რომ დეპუტატებთან პალატა არ იქნება წინააღმდეგი ამ მუხლის შეცვლისა და ორშაბათს პალატები ხელახლად შეიკრიბებიან და შეადგენენ კონგრესს ამ კანონ-პროექტის საბოლოოდ მისაღებად.

გუმინ მოკვდა ხოლერით ტულონში 10, მარსელში 16 და არდში 6 კაცი.

ლონდონი. კონჭერენციის გუშინდელ სხდომაზედ გერმანიის ელჩმა ადონა ლაპარაკი სანიტარული წესის შეცვლაზედ ეგვიპტეში. გრენვილი წინააღმდეგა ამ პროექტს, რადგან იმის აზრით კონჭერენცია მხოლოდ ჭინანსიური საგნებისათვის არის შემდგარი.

განცხადებანი

კოჯოგში

აძლევენ ქირით სამს ოთახს ძალიან იაფად. იკითხეთ პ. ი. ბროდსკის მაღაზიაში, ღორის-მელიქოვის ქუჩა, ზუბალაოვის სახლი. (1-1)

ასლად გაისხნა თბილისში მენანიკური ქარხანა სასულწოდებით „სოფლის მეურნე“

პრესნალის აღმართზედ, სასწორის პირ-და-პირ, ინტენდანტსტვოს გვერდზედ, სახლის № 5, თავ. ალექსანდრე იაკობის-ძე ერისთავისა.

ქარხანა მიიღებს ყოველგვარ სამე-ხანიკო სამუშაოს სხვა-და-სხვა მოწყობილობითურთ, სტალიარისას, სლესარისას და სპილენძის საკავშიროებს, წყლის გასაყვან მილებისას ბოსტნე-ბის მოსარწყავად, ფონტანებისას, როგორც ბაღებში ისე ქალაქის სახლებში, ხოლო უფრო სოფლებში. ქარხანა მიიღებს ყოველ გვარ სამუშაოს ბბ-თ მიწათ-მოამქმელთა და სოფლის მეურნეთა სოფლის მეურნეობისა და საჭიროებათა შესახებსა. შევლა სამუშაო საუკეთესო ოსტატებისაგან იქმნება გაკეთებული თავდებობით რამდენსამე ხანს. მეურნეთა მოთხო-ნილებათა-მებრ გაეგზავნიებიან დაუ-

ყონებლივ ოსტატები შემოკვეთილის სამუშაოს გასაკეთებლად. შევლა ნი-თსა და იარაღს, რომელიც არ გამო-დგება, ქარხანა უკან მიიღებს და ფულს დაუბრუნებს მსუიდელოს, ან სხვაზე შეუცვლის სურვილისამებრ. ქარხანა-ში არის გასასყიდად ჩვევან გაკეთე-ბული და გაუმჯობესებული მოწყო-ბილობა (აპარატი) წიწილთ საჩეკად ხელაფურის წესით, უკრუხოდ. სიაპარატებისა და ჩემ-მიერ მომზადებუ-ლის ნივთებისა და აგრეთვე დარიგე-ბა წიწილთ-საჩეკის მოხმარებისათვის გაეგზავნება მსურველს მუქთად. ქარ-ხანაში მიიღება აგრეთვე შეკეთა წყლის წისტვილის (გასაკეთებლად). შმორჩი-ლესად ვსთხოვთ ქალაქის გარეშე შემ-კვეთილთ თავიანთი აღრესი გარკვე-ვით დანიშნონ. ქარხანის კანტორა ღიაა მუდამ დღე 8 საათიდან 2 სა-თამდე და 5-8-მდე საღამომით, კვი-რა, უქმე-დღის გარდა.

ქარხანა მალე მიიღებს სამენებელს იარაღებს, ხოლო მიღებამდე საუკე-თესო მალაზიებიდამ იყიდის და გაუგ-ზავნის თავის მუშტარს. (10-3)

მოწყობილობა

წიწილბის ბამოსაჩეკააად.

ორმოცდი კვერცხის გამოსა-	
ჩეკად გზავნიით.	23 მან.
გაუგზავ.	22 ,,
სასათვის	35 ,,
ასზე მომეტებულიათვის თი-	
თა ასზე.	5 ,,
600.მდე, ხოლო 600-ზე	
მეტე თუ იქნება ასზე.	10 ,,
გამზავნისათვის 3 მან. ფუთზე რუ-	
სეთას უკელა ქალაქებში, ვაკვასიაში კი	
1 მან. 50 კაპ.	

სის კვერცხისათვის მოწყობილობა იყენს 2 ფუთს.

იშვა.

იქვე მომზადებულია ასადის მოწყო-ბილობის ტინკის ვანები, ძაღვან ადვილი გადასატან-გადმოსატანი, რადგან არა ფუ-ჭდება და 20 წელიწადი შეუძლიან გას-ძლას; თავდებობით ვუიდი ძაღვან იაფად, ადრესი: მესხნიკურა ქარხანა სა-სულწოდებით „სოფლის მეურნე“, არ-სენაღის აღმართთან სასწორის პირ-და-პირ, ინტენდანტსტვოს გვერდზე, სახ. № 5.

თ. ალექსანდრე იაკობის-ძე ერისთავი. (10-7)

გამოვიდა და ისეიდება:

განკითხული

მ. შ. მოხსნება-რამისა (ეზბეკისა) ფასი ათი შაური. თბილისში, «დროების» რედაქცია-ში და ზაქ. შიკინასის მაღაზიაში. ქუთაისში. შილაძის მაღაზიაში. თელავში. ბ. როსტომაშვილთან. ფოთში. ბ. ხუმარაძის მაღაზიაში.

გაჭრთბა საღებავებით
ქაქასის ამზანავობის (ბრაქის ქუჩა მუქუმის პირდაპირ.)
სალპაპაპი ხმელი და თხელი შეზავებული ზეთით.
ლაპი ზეთიანი და სპირტისა, სხვა-და-სხვა გვარი ხანზალი (კისტი) და ყოველნაირი კუთვნილებანი საღებავით ვაქრობისა—აქვე შეიძლე-ბა იშოვონ ერთგვარი თხალი ნივთიერება, რომელიც სინოტიეს აცილებს თავიდან. ხე, ქვა ანუ აგური, ამ ნივთიერებით დაფარული (Enduit hydrofuge)—მიუკარებელია სინოტიესათვის.
სხვა ქალაქებიდამ მოთხოვნილებანი კმაყოფილდებიან დაუკვინებ-ლად. (70-25)

განიცემა ქირით ექსპლუატაციისთვის
ორი ცვის დახა
ამირ კაპაპაის მხარეში:
ერთი, — 1500 დეს. რკინის გზაზე, მეორე — 1300 დეს. მდ. მტყვართან პირობების შეტუბა შეიძლება:
თბილისში — ჟურნალი «იურიდიკსკოე მბოზრენიეს» ადმინისტრა-ციაში,
ჭუთაისში — დაფიცებული ექილის თანა-მემწესთან თ. ანტონ ნიკ. ლორთქიფანიძესთან. (10-6)

PAPIER RIGOLLOT
БУМАГА РИГОЛЛО
ГОРЧИЦА НА ЛИСТАХЪ ДЛЯ СИНАПИЗМОВЪ
 ПРИНЯТАЯ ВЪ ПАРИЖСКИХЪ ГОСПИТАЛЯХЪ
 ВЪ ВОЕННЫХЪ БОЛЬНИЦАХЪ, ВЪ МОРСКОМЪ ФРАНЦУЗСКОМЪ И АНГЛИЙСКОМЪ
 КОРОЛЕВСКОМЪ МОРСКОМЪ ВЪДОМСТВАХЪ
 Единственное средство, ввозъ котораго дозволенъ въ Имперію
 медицинскимъ совѣтомъ.

Принимайте
 за **НАСТОЯЩУЮ**
БУМАГУ РИГОЛЛО
 лишь ту, листы которой
 имеютъ поперекъ
 сію подпись
красною
 краской.

Продается во
 всьхъ
 аптекахъ.

ГЛАВНОЕ ДЕПО
24, Avenue Victoria
PARIS
 Въ Парижѣ.

(32-16)

გამოვიდა (გალეკ წიგნად)
სამზარეულო სიყვარული
მთხრობა
გაჭე წერეთლისა
(„დროების“ რედაქციის გამოცემა.)
ფასი 30 კაპ.
(გინც რუკ უკმუნდაირუკ მუქს იყო-დის კრთაშად, 100/0 დაქობილბა.)
წიგნი ისეილება თბილისში ცოქუ-როვის წიგნის მაღაზიაში, მსკვრდ-ღის სააგენტოში და წარკვიანას მაღა-ზიაში. ჭუთაისში ჭილაძეის წიგ-ნის მაღაზიაში. ბათუმში, მოსკო-თაქსთან, თელავში, საზოგადოე-ბის ლეზოში. მრთაშად ყოფა შეიძ-ლება აგრეთვე „დროების“ რედაქცია-შიც.

ინდოეთის შლაპაპი თითო 3 მა-ნათად, ბომაზე 90 კ.—1 მან, არ-შინი, გლიცერინის საბონი გირვანქა 40 კ. მედალიონები ქაფურით ქუნთ-რუმის ასაცილებლად, კარბოლის პა-რაშოკი გადამღები ავადმყოფობის ასა-ცილებლად — 20 კაპ. აღმასის პარა-შოკი ყოველ გვარი მეჯალის საწმენ-დად 15 კაპ. — 1/2 გირვ.; ქალაღდი ვატერკლოზეტისათვის 500 ფურცელი 50 კაპ. 3000 არშინი ამერიკის კლიონკა სხვა-და-სხვა სორტისა 50 კაპ. — 2 მან. არშინი, 1200 ინგლი-სური რკინის კრაოტები, — ვაჭკაცისა 7 მანათილამ, ბავშვებისა 4 მანათი-ლამ. (6-2)

ისეილება ყველა მაღაზიებში
ბოლეს
სტუარინის სამთლები პირველი სორ-ტისა 4 და 5-იანი. ფუთი 11 მანათი, გირვანქა 28 კაპ., (5-4)

შუტხადებ ბორის მზრის საზოგა-დობას რომ მე მოვიტანე ქ. შორ-ში მარშავიდან პოლსაზოშკები სხვა-და-სხვა ნაირი: კაცისა, ქალისა და პატარა ყმაწვილებისა და ყვიდი უწინ-დელზედ დაშორებით ნაკლებ ფასე-ბად. (6-2) ივანე ბარამოვი.